სომხეთის გამყვანი ტურიზმის მახასიათებლები

სარჩევი

სომხეთის ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა 3

რომელ ქვეყნებს სტუმრობენ სომეხი ვიზიტორები 4

მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა 5

ძირითადი სატრანსპორტო საშუალებები 5

მოგზაურობის ძირითადი მიზნები 6

პროგნოზი 6

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები 7

სომეხი ვიზიტორების სტატისტიკა საქართველოში 7

სომეხი ვიზიტორების მახასიათებლები საქართველოში (2013 წელი) 9

სომხეთის ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა

სომხეთის მოსახლეობა 3 მილიონს შეადგენს. ქვეყნის მთლიანი ფართობი კი 29,740 კვადრატული კილომეტრია. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება საქართველო, დასავლეთით თურქეთი, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი და სამხრეთით ირანი.

1990 წლიდან ტურიზმი სომხეთის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი სექტორია.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ სომხეთის მშპ-ში 3.6% შეადგინა, ხოლო მთლიანმა კონტრიბუციამ 12.7%. მთლიანი განხორციელებული ინვესტიციების 3.5% ტურიზმზე მოდის, მთლიან ექპორტში კი მისი წილი 30.8%-ს შეადგენს.



წყარო: მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო (WTTC)

Euromonitor International-ის მონაცემებით ბოლო წლებში სომხეთიდან დანარჩენ მსოფლიოში განხორციელებული ვიზიტების მაჩვენებელი სწრაფად იზრდება. 2014 წელს მათმა რაოდენობამ 939 000 შეადგინა და წინა წელთან შედარებით 7%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

გრაფიკი 1: გამყვანი ვიზიტების რაოდენობა წლების მიხედვით (ათასი)

წყარო: Euromonitor International

განხორციელებულ ვიზიტებთან შედარებით სომხეთის დანახარჯები საერთაშორისო ტურიზმზე უფრო ნელი ტემპით იზრდებოდა. 2014 წელს სომხეთის დანახარჯებმა საერთაშორისო ტურიზმზე 679 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით 4%-ია.

გრაფიკი 2: სომეხი ვიზიტორების დანახარჯები წლების მიხედვით (მილიონი დოლარი)



წყარო: Euromonitor International

რომელ ქვეყნებს სტუმრობენ სომეხი ვიზიტორები

2014 წლის მონაცემებით სომეხი ვიზიტორების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ქვეყანა საქართველო იყო, შემდეგ მოდის რუსეთი და ირანი.

გრაფიკი 3: ვიზიტების სტრუქტურა ტოპ 5 ქვეყანა 2014 წელი



წყარო: Euromonitor International

ცხრილი 1: გამყვანი ვიზიტები ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	ცვლილება% 2013/2014
საქართველო	227,700	255,800	293,500	316,200	337,800	7%
რუსეთი	236,800	260,300	293,100	314,800	335,400	7%
ირანი	39,300	42,600	47,400	51,400	55,200	7%
თურქეთი	15,900	17,100	18,400	20,000	21,500	8%
საფრანგეთი	14,300	15,300	16,500	18,700	21,000	12%
იტალია	11,900	13,000	14,200	17,100	20,200	18%
საბერძნეთი	13,700	14,600	15,700	17,900	20,100	12%
ესპანეთი	13,600	14,400	15,600	17,700	20,000	13%
აშშ	14,900	15,900	17,100	18,500	19,900	8%
არაბთა გაერთიანებული საემიროები	9,900	10,600	11,700	12,700	13,700	8%
ეგვიპტე	2,500	2,600	2,800	3,000	3,100	3%
სხვა ქვეყნები	48,400	52,700	60,600	65,700	70,600	7%

მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა

სომეხი მოგზაურების უმრავლესობა 46% საშუალოდ 7 დღეზე მეტს, ხოლო 43% კი 3-7 დღეს ატარებს საზღვარგარეთ.

გრაფიკი 4: რა ხანგრძლივობით მოგზაურობენ სომეხი ვიზიტორები?



წყარო: Euromonitor International

ძირითადი სატრანსპორტო საშუალებები

Euromonitor International-ის მონაცემებით სომხეთიდან გამყვანი ვიზიტების უმრავლესობა 72% საჰაერო ტრანსპორტით ხორციელდება, სახმელეთო ტრანსპორტით 23%, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით 5%.

ცხრილი 2: ვიზიტები ტრანსპორტის ტიპების მიხედვით (ათასი)

ტრანსპორტის ტიპი	2013	2014	ცვლილება %	წილი
საჰაერო	628	676	8%	72%
სახმელეთო	203	217	7%	23%
სარკინიგზო	43	46	7%	5%

წყარო: Euromonitor International

მოგზაურობის ძირითადი მიზნები

2014 წელს ვიზიტების ძირითადი ნაწილი 55% ბიზნეს, ხოლო 45% დასვენების მიზნით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში უფრო მაღალი იყო დასვენების მიზნით განხორციელებული ვიზიტების წილი.

გრაფიკი 5: ვიზიტების დინამიკა ტიპების მიხედვით (ათასი)



წყარო: Euromonitor International

პროგნოზი

Euromonitor International-ის პროგნოზით შემდეგ წლებში მოსალოდნელია სომხეთის გამყვანი ტურიზმის ზრდა და 2015 წლისთვის მათი რიცხვი 1,000,600 ვიზიტს, ხოლო 2018 წლისთვის 1,288,000-ს მიაღწევს. 2015 წლისთვის მოსალოდნელია ვიზიტების ზრდა 7%-ით.

გრაფიკი 6: ვიზიტების პროგნოზი (2015-2018 წწ)

წყარო: Euromonitor International

2015 წელს გამყვანი ვიზიტების ზრდასთან ერთად მოსალოდნელია დანახარჯების იგივე ზრდის ტემპი (+7%). შედეგად გამყვან ტურიზმზე დანახარჯები 727 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს.

გრაფიკი 7: დანახარჯების პროგნოზი (2015-2018 წწ - მილიონი დოლარი)



წყარო: Euromonitor International

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემები სომხეთიდან განხორციელებული გამყვანი ვიზიტებისა და დანახარჯების დინამიკის შესახებ, განსხვავდება Euromonitor International-ის მონაცემებისგან. UNWTO-ს მონაცემებით 2013 წელს სომხეთიდან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 1,083,000 შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 12%-იან ზრდას წარმოადგენს.

გრაფიკი 8: გამყვანი ვიზიტების რაოდენობა წლების მიხედვით (ათასი)

წყარო: UNWTO

UNTWO-ს მონაცემებით 2013 წელს 4%-ით გაიზარდა სომეხი ვიზიტორების დანახარჯები გამყვან ტურიზმზე და 579 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

გრაფიკი 9 : დანახარჯები გამყვან ვიზიტებზე (მილიონი დოლარი)

წყარო: UNWTO

სომეხი ვიზიტორების სტატისტიკა საქართველოში

2014 წელს საქართველოს სომხეთიდან 1,325,635 მოგზაური ეწვია და ზრდამ წინა წელთან (767 396) 3% შეადგინა. 2014 წლის მონაცემებით სომხეთი საქართველოში შემოსული მოგზაურების რაოდენობის მიხედვით მეორე ქვეყანაა ტოპ 15 ქვეყანას შორის.

გრაფიკი 10: სომეხი ვიზიტორების შემოსვლები

წყარო: შსს, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

2014 წელს საქართველოში სომხეთიდან შემოსული მოზაურების მთლიანი რაოდენობიდან 24 საათი და მეტი დროით (ტურისტი) 348,489 (+6%) ვიზიტი განხორციელდა.

გრაფიკი 11: სომეხი ტურისტების შემოსვლები

წყარო: შსს, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

სომეხ ვიზიტორებს შორის ყველაზე პოპულარული თვე საქართველოში სტუმრობის თვალსაზრისით აგვისტოა.

გრაფიკი 12: საერთაშორისო შემოსვლები სომხეთიდან თვეების მიხედვით (2014 წელი)



წყარო: შსს, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

სომეხი ვიზიტორების უმრავლესობა (96%) საქართველოში სახმელეთო ტრანსპორტით შემოვიდა. სარკინიგზო ტრანსპორტით კი მხოლოდ 2% დაფიქსირდა.

ცხრილი 3: საერთაშორისო შემოსვლები სომხეთიდან საზღვრის ტიპების მიხედვით

სომხეთი	2013	2014	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	1,244,185	1,270,005	+2%	96%
სარკინიგზო	31,166	29,556	-5%	2%
საჰაერო	16,228	25,848	+59%	2%
საზღვაო	259	226	-13%	0%

წყარო: შსს, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

სომეხი ვიზიტორების უმრავლესობა 62% სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შემოვიდა საქართველოში. შემდეგ მოდის ყაზბეგი 15%-ით და ნინოწმინდა 14%-ით.

ცხრილი 4: საერთაშორისო შემოსვლები სომხეთიდან საზღვრების მიხედვით

სომხეთი	2014	ცვლილ %	წილი
სადახლო	819,212	7%	62%
ყაზბეგი	196,933	-17%	15%
ნინოწმინდა	188,781	13%	14%
სარფი	34,184	-20%	3%
რკინიგზა სადახლო	29,556	-5%	2%
გუგუთი	26,762	-5%	2%
აეროპორტი თბილისი	25,053	63%	2%
ვალე	3,979	-8%	0%
აეროპორტი ქუთაისი	626	0%	0%
პორტი ბათუმი	198	-8%	0%
აეროპორტი ბათუმი	169	-23%	0%
ახკერპი	153	-61%	0%
პორტი ფოთი	28	-35%	0%
ცოდნა	1		0%
წითელი ხიდი	0	-100%	0%

წყარო: შსს, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

სომეხი ვიზიტორების მახასიათებლები საქართველოში (2013 წელი)

სომხეთის რეზიდენტების 17% ვიზიტით პირველად იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო 83% განმეორებით.

ვიზიტების 54% ღამისთევას მოიცავდა, რაც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით ტურისტული ვიზიტების წილსაც აღნიშნავს. ვიზიტების 46% ღამისთევის გარეშე განხორციელდა. ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობამ კი 4 ღამე შეადგენდა.

გრაფიკი 13: ვიზიტის ხანგრძლივობა



წყარო: საერთაშორისო მოგზაურების კვლევა, 2013 წელი

სომეხი რეზიდენტების ვიზიტების უმრავლესობის (28%) მთავარ მიზანს დასვენება, გართობა, რეკრეაცია წარმოადგენდა. მეორე ადგილს 27%-ით ტრანზიტი იკავებს, ხოლო 19% მეგობრების და ნათესავების მონახულების მიზნით მოგზაურობდა.

გრაფიკი 14: ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საერთაშორისო მოგზაურების კვლევა, 2013 წელი

სომეხი რეზიდენტების ვიზიტების უმეტესობა (53%) საქართველოში საკუთარი ავტომობილით განხორციელდა.

გრაფიკი 15: ტრანსპორტის ტიპები



წყარო: საერთაშორისო მოგზაურების კვლევა, 2013 წელი

სომეხი მოგზაურების ყველაზე დიდი ნაწილი (38%) ვიზიტისას მეგობრის, ნათესავის სახლში გაჩერდა, 34% კი - სასტუმროში.

გრაფიკი 16: განთავსების საშუალებები



წყარო: საერთაშორისო მოგზაურების კვლევა, 2013 წელი

კვლევამ აჩვენა, რომ სომეხ ვიზიტორებს შორის ყველაზე პოპულარულია შემდეგი ინტერნეტ-საიტები:

www. georgia.travel
www. Kaukaz.pl
www. Info-tbilisi.ge
www.expedia.com
www.map.ge

სომხეთის რეზიდენტების ვიზიტების უმრავლესობა მოიცავდა თბილისის მონახულებას (56%). სხვა პოპულარულ ტურისტულ ადგილებს განეკუთვნება ბათუმი (17%), ყაზბეგი (13%), მარნეული (12%), ქობულეთი (11%) და რუსთავი (7%).

გრაფიკი 17: პოპულარული ადგილები



წყარო: საერთაშორისო მოგზაურების კვლევა, 2013 წელი

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ.

ტელ: +995 322 43 69 99 (30)

ელ. ფოსტა: infostatistics@gnta.ge

გამოყენებული ლიტერატურა:

The World Bank-Data 2014

World Tourism Organization (UNWTO)

The Economic Impact of Travel & Tourism 2015 – Armenia

Euromonitor International- Outbound Tourism Data of Armenia

საერთაშორისო მოგზაურების კვლევა, 2013 წელი, ACT, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით